

აჭარის დაცულ ტერიტორიებზე წაბლნარი კორომების ბუნებრივი ბანახლება ტყის ძირითად ფორმაციებში

დავითაძე რ., ვასაძე რ.
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
ruslandavitadze@mail.ru

ტყის ბუნებრივი განახლებას აჭარის დაცული ტერიტორიებზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მისი რაოდენობითი და ხარისხობრივი მახვენებლების თვალსაზრისით, რადგანაც მათი დაკავებული ფართობი (29 592) წარმოადგენს მჭიდროდ მრავალფეროვანი ლანდშაფტებით, დაწყებული ზღვის სანაპიროდან, მაღალმთის მდელოებით დამთავრებული, რომლის ჩამოყალიბება ხამხრეთ კოლხეთის რელიქტური ტყეების რეპრეზენტატიული ბიომრავალფეროვნების დაცვის საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარე ბუნებრივი განახლება განმსაზღვრელი ფაქტორია დაცულ ტერიტორიებზე წარმოადგენს ძვირფასი და კავკასიისეთის მნიშვნელოვანი მცენარეების შენარჩუნების მიზნით, რომელს რეგენერაცია დამოკიდებულია როგორც ფაქტორებს, როგორცაა: უხვი თესვამსხმოიარობის წლებზე, მაღალხარისხოვანი თესვების რაოდენობაზე, ნაყოფმსხმოიარობის განმეორების სიხშირეზე, ხინათლის პირობებზე, მკვდარი საფარის სიხვეზე, ცოცხალი საფარზე, ქვეტყის განვითარების ხარისხზე და ა.შ. რომელიც შესწავლილი გვაქვს შტრალას ეროვნული პარკისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ტყის ძირითადი ფორმაციების მაგალითზე.

წაბლი (*Castanea sativa*) მესამეული პერიოდის რელიქტია და იგი გავრცელებულია ძირითადად დაბალეკი აბერკავკასიაში, მთავარი კავკასიონისა და აჭარა-სიურეთის ქედის კედლებზე, წინათ იგი უფრო დიდ ტერიტორიაზე ეთიფილა გავრცელებული რადგან მისი თითოეული ხეები გვხვდება უფრო აღმოსავლეთითაც, მისი გავრცელების დიაპაზონი ზღვის დონიდან 0-1500 მ-მდეა [1].

აჭარის დაცულ ტერიტორიებზე იგი ცალკე სარტყლად გამოიყოფა, რომელიც მაღალი წარმადობის მსხვილებს ქმნის თავისი გაბატონებით ზღ. 400-500-1000-1300 მ სიმაღლეზე. ამ სარტყელში წაბლის გარდა გვხვდება წიფელი (*Fagus orientalis*), რცხილა (*Carpinus caucasica*), მურყანი (*Alnus barbata*), ცაცხვი (*Tilia caucasica*), აღმოსავლეთის ნაძვი (*Picea orientalis*), თელამუში (*Ulmus scabra*), ჭოროხის მუხა (*Quercus dzhorochensis*), სოსნოვსკის ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). ქვეტყეში გვხვდება პონტოს შქერი (*Rhododendron ponticum*), იელი (*Rhododendron flavum*), წყავი (*Laurocerasus officinalis*), მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), ჭყორი (*Ilex colchica*), ბუხა (*Buxus colchica*) და მრავალი ბალახეული მცენარეულობა.

აღმოცენების უნარიანობის თვალსაზრისით წაბლის არასაიმედო თესვის რაოდენობა მოსავლის 46,5 %-ს შეადგენს. ამავე დროს, მისი 33,7% მოდის ამონაყრითი წარმოშობის კორომებზე, რომელთა შორის კარგი ნაყოფმსხმოიარობით გამოირჩევა მხოლოდ I-II გენერაციის კორომები [2].

წაბლნარ ტყის კორომებში 1-2 წლიანი წაბლის აღმონაცენის რაოდენობა დამოკიდებულია ასევე წერილი მღრღნელების, ფრინველების და ზოგიერთი ჩლიქოსანი გარეული ცხოველების პოპულაციების რაოდენობაზე, რომელთაც შეუძლიათ შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულის პერიოდში მთლიანად გაანადგურონ წაბლის ნაყოფი და აღმონაცენი, ასევე მის არასახარბიელო განახლებაზე დიდ გავლენას ახდენს ძნელად ხრწნადი შქერის ფოთლების მკვდარი საფარი [3].

ხემათ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, წაბლის თესლით განახლება, განსაკუთრებით ამონაყრით წარმოშობის წაბლნარებში, ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემებად რჩება. წაბლნარების ბუნებრივი განახლების მსვლელობის ობიექტური შეფასება აუცილებელია აჭარის დაცულ ტერიტორიებზე მაღალი წარმადობის წაბლნარი კორომების შენარჩუნებისა და აღდგენის კომპლექსური ღონისძიებების დასახვის თვალსაზრისით, რისთვისაც აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ანთროპოგენური და ხემათ ჩამოთვლილი ფაქტორების ზემოქმედება.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიდან სხვადასხვა ტიპის წაბლნარების ფორმაციებში ჩანს (ცხრილი.1), წაბლის მოზარდის შენარჩუნება ძირითადად შეინიშნება თესლით წარმოშობის წაბლნარებში 0,6-0,7 სიხშირისა და იელის ქვეტყის საშუალო და სუსტი განვითარებით, რომლის აღმონაცენ-მოზარდის საერთო რაოდენობა 1 ჰა-ზე 40,8 ათას ცალს შეადგენს. მაღალი საბურველშეკრულობის წაბლნარებში ძლიერ განვითარებული მარადმწვანე ქვეტყით, წაბლის მოზარდი, როგორც წესი არ ვითარდება, რამდენადაც აღმონაცენი ასეთ პირობებში ცოცხლობს მხოლოდ 2-3 წელიწადს. სხვა მერქნიანი სახეობების (წიფელი, რცხილა) მოზარდი ასევე სუსტად დიფერენცირდება სიმაღლეში საბურველშეკრულ ან საშუალო საბურველშეკრულ კორომებში ძლიერ განვითარებული ქვეტყით, განსაკუთრებით ეს კარგადაა გამოხატული 0,7-0,8 სიხშირის კორომებში, სადაც აღმონაცენ-მოზარდის საერთო რაოდენობა 1 ჰა-ზე 5,5 ათას ცალს შეადგენს, რაც მიუთითებს ბუნებრივი განახლების სისუსტეზე.

წაბლნარები შქერისა და მაცვლის საფარით საბურველის 0,4-0,5 სიხშირის და ქვეტყის ძლიერ განვითარების პირობებში, წაბლის განახლება ძლიერ სუსტია, რადგან მარადმწვანე ქვეტყის

ძლიერი განვითარების წაბლის აღმონაცენი იღუპება პირველივე წელს, რომლის რაოდენობა 1 კმ-ზე 1.01 და 0.19 ათას ცალს შეადგენს.

წაბლის მოზარდის სიმაღლეთა ჯგუფების მიხედვით განაწილება, როგორც ჩვენ დავადგინეთ სამოდულო ნიმუშებით, მჭიდრო კავშირშია ხნოვანებასთან, რომელიც სხვადასხვა ბონიტეტში წაბლნარების მოზარდის საშუალო სიმაღლეები გვიჩვენებს ხნოვანების განსხვავებებს, მაგ: თესლითი წარმოშობის შქერის ქვეტყიანი წაბლნარების მოზარდის საშუალო შეწონილი სიმაღლეები დაცულ ტერიტორიებზე შეადგენს 0,45 მეტრს საბურველის 0,7 სისშირის პირობებში, რომლის ხნოვანება შესაბამისად შეადგენს 3 წელს, ხოლო ეს სიდიდეები 0,8 საბურველის შეკრულობის პირობებში შესაბამისად შეადგენენ 0,28 მეტრს და 2 წელს. როგორც ვხედავთ, მიუხედავად ქვეტყის მცირე პროექციული დაფარულობისა, მოზარდის საშუალო ხნოვანება და სიმაღლე, შედარებით მაღალი საბურველშეკრულობის კორომებში, დაბალია, ვიდრე საშუალო საბურველშეკრულობის კორომებში, სადაც 0,45 მეტრის აღმონაცენი 3 წელს უდრის, ეს ნიშნავს რომ, მაღალი საბურველშეკრულობის კორომებში, წაბლის აღმონაცენი იღუპება ნაადრევ ასაკში და არ ხდება მისი გადასვლა მაღალ ხნოვანებით ჯგუფებში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დასკვასკენათ, რომ აჭარის დაცულ ტერიტორიებზე წაბლის ტყის ძირითად ფორმაციებში განახლების მსგელობა არადაამაკმაყოფილებელია.

წაბლნარი კორომები, რომლებიც წარმოდგენილია შქერისა და მაყვალის დაბალი სისშირის ფორმაციებში ბუნებრივი განახლება ძალიან სუსტია, რაც შემდეგი მიზეზებით აიხსნება: ადამიანის სამეურნეო ზემოქმედებით მისი ძვირფასი მერქნის გამო წლების განმავლობაში (დაცული ტერიტორიების შექმნამდე) მიმდინარეობდა მასზე ექსპლუატაცია, რამაც გამოიწვია მაღალი სისშირის კორომების დაბლა დაყვანა, მათი ადგილები კი დაიკავა მაყვალისა და შქერის მაღალმა საფარმა, ამასთან ერთად ტყეში ძირითადად დარჩა დაბალი ღირსების (გადაბერებული, თავდორი, ფაუტიანი) და სხვა ხეები, რომლებიც იძლევიან თესლის არასაკმარის რაოდენობას. ამავე დროს, ბევრი მათგანი ხასიათდება დაბალი აღმოცენების უნარიანობით.

წაბლნარი იელვის ქვეტყით, რომლის დაფარულობა 20%-ს შეადგენს საშუალო სისშირის პირობებში ტყის ბუნებრივი განახლება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ლიტერატურა:

1. გულისაშვილი ვ. ზოგადი მეტყვეობა, თბილისი 1957, 240 გვ.
2. აბაშიძე ი. ჩვეულებრივი წაბლის ნაყოფმსხმოიარობის შესახებ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქ. თბილისის ტყის ინსტიტუტის შრომები. ტომი IV. 1952 გვ. 55-77.
3. Соколов В.Б. Шкала успешности возобновления каштана. //Проблемы горных лесов Северного Кавказа. (Сб. научн.тр. ВНИИЛМ), М., Вып. 15. 1980. стр. 118-121
4. მანველიძე ზ. სამხრეთ კოლხეთის ტყის მცენარეულობის მრავალფეროვნება და მისი კონსერვაცია-გამოყენების პრიორიტეტული მიმართულებები // ავტორეფერატი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თსუ, თბილისი, 2006, გვ. 242-255.

THE NATURAL RENOVATION OF THE CHESTNUT FOREST STANDS IN THE MAIN FOREST FORMATION ON THE ADJARA TERRITORY

Davitadze R., Vasadze R.
Shota Rustaveli State University. Batumi, Georgia
ruslandavitadze@mail.ru

Summary

In the article is represented the natural renovation of the chestnut forest stands in the main forest formations on the Adjara territory, where are studied according to forestry types as *Rhododendron ponticum*, (*Azalea pontica*) and *Rubus caucasicus*. Which identified the natural renewal factors and made were conclusions.